<u>პროექტი</u>

საქართველოს ორგანული კანონი

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“
საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებისა და
დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N2, 09.01.2006, მუხ. 12) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. 65^2-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. თვითმმართველი ერთეულები (ახალგორი, ერედვი, ქურთა, თიღვა) უფლებამოსილნი არიან იმ თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე, სადაც კომპაქტურად არიან განსახლებულნი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მუდმივად მაცხოვრებელი იძულებით გადაადგილებული პირები, განახორციელონ მათ საკუთარ და დელეგირებულ უფლებამოსილებებს დაქვემდებარებული მხოლოდ ის ღონისძიებები, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აღნიშნული პირების დახმარების საკითხებთან და მათი სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებასთან, მათი მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნებამდე.“

2. 65^2-ე მუხლის მე–4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. 2013 წლის 1 იანვრამდე თვითმმართველ ერთეულს უფლება აქვს, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ნებაყოფლობით გადაწყვიტოს სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისათვის მატერიალურ-ტექნიკური დახმარების გაწევის საკითხი. ეს ნორმა გავრცელდეს 2006 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *მიხეილ სააკაშვილი*